



ქმობა. 17 იანვარი.

№ 3 — 1916



ნიკოლოზ ანდროას ძე გრედენსკული
(იხ. ამავე ნამუშაში მე-14-ე გვ.)

1916 მიწვევა ხმის მოსმერს 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათთაგანნი ყურნალი იმპროვიზებული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წლიურად
მართება

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად
ნან. წლ.
3 მან.

წლიური გამოცემისა მართება

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელობევი და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ყურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა
ყურნალში ხშირადსამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილიადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ნენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სოკრატის“ სტამბაში (მდათოვის კუჩხ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифლისь, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили. ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

სახალხო სახლი

სამშაბათს 19 იანვარს ქართ. დრამ. საზოგ. დღის იერ-წარმოდგენილი იქნება

ხანუმა; გულმა იგრძნო

ა. ცაგარლისა მ. ს. აბაშიძის
მონაწილეები: ქინი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., იურიჭხიშვილი ვლ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ვივიძე ი. ადგილები ფასი 10 კ.—1 მან.-დე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი ანდრონიკა შვილი
ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.
შემდეგი წარმოდგენა

განათლება

სამეცნიერო-შედეგოვანი და სალიტერატურო, ყურნალი (წელიწადი მეტსრე).
წლიურად ყურნალი 5 მ. ტფილისში კვებუებით ედირება 4 მ. ხელის-მამწერთათვის სათეატრო სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამედიცინო სკოლის მასწავლებლებს, სტუდენტებს, მუყურნალი დაჯობებით შესს 3 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი ყურნალისა ედირება 50 კაპ. რედაქცია სთხოვს ხელის მამწერლებს დროზე დაიკეთონ ყურნალი. მისამართი: Тифლისь, Дворянская Грузин, Гимназия Л. Б. Бопвадзе. 1233 რედაქ.-გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

„განათლება“

ყოველ-კვირეულს კახტორს ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.
გზავნება ჯგერებს: „თეატრი და ცხოვრება“, „თან. სახი“, „ეშ. მათნახია“, „საქარ-უგელი“, „Тифлисский Листок“, „Русское Слово“, „გლარიზახი“, კედლის კაფანდები და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული რა წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифლისь, почтовый ящик № 96, С. Таварткиладзе.

თანაშედროვე პერსონა

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ. გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გაიას. ნიხით არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწელებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифლისь, поч. ящ. № 199 Власію Маланіевичу Бохохадзе.
თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა № 6 მიმავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილენად სთხოვს ფული 20 დეკემბრამდე შემოიტანონ.

ფოტოგრაფია ი. ა. სტურუანი

(ვოგზლის ქ. და ყვირილის ქ. № 13)
ადებს ელექტრონული ფოტოს სურათებს ხელ-მისწევად ფასებში, სუფთად და სკლავურად. შენეგეთ საქმეს ასრულებს დანიშნულ ვადაზე.



№ 3

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: Тиф-ლისь, Ред. „Театри да Цховреба“ I. Име-дашвили.

წელიწადი
მ ე მ თ ხ ე

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-
ბა.—ხელთნაწერები საპრობებისამებრ შეს-
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის
კანტორაში—ღლით 9—2 ს., საღამოთი
5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 3

კვირა, 17 იანვარი

1916 წ.

17 იანვარი

სადაც ილოცებ და ღმერთს
ახსენებ, ყველგან ღმერთს სახ-
ელი იქნებაო...

ასე სწამს მართლმორწმუნეს...

მამულიშვილობის ასეთი რწმენა გულის
ფიცარზე უნდა ჰქონდეს ამოჭრილი ყველა
ქართველს, ქვეყნის რომელ კუთხეშიაც უნდა
ცხოვრობდეს...

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონო-
მიურმა მდგომარეობამ ბევრი ქართველი გაჰ-
ხვეწა სამშობლოს გარეეთში. ერთი და ორი
ქართველი მხოლოდ გუბერნიებში
თუ უცხოეთში წებნათ მხოლოდ უნებლიეთ დამ-
კვიდრებულნი ვხვდებით. ველობასა და სამ-
სა ურშია მხოლოდ ბევრი მათგანი თითქო
გადაგვარეს. ვაჟს დაქორწინა...

და გასულიყო მორი უფნა გული-
თაც უნდა ვთხოვდეთ უთიერთს?

გადაჭრეთ მათგან ბრძანებებს, სომხებს, ებ-
რაელებს და მათგან დედამიწის ზურგ-
ზე გაფანტულნი და მათგან ვად ამისა, მაინც
თავისი ვინაობის მტკიცე მტკიცებნი არიან...

სამშობლოდან განსვლინი ქართველთ ღიღი
სიხიზლე და გარდაცვალები, რომ მამულს
სამუდამოდ დაეკარგა...

ვინც მამულს დაკარგა, რასმეს და
ჰსურს სამშობლოში დასვლას, აწმყოში
გულხელის დახმარება უნდა მოეძებნოს...

დედის ნადგელი

(ერთი ოჯახის ამბავი)

მშემ მრავალგზის იბრუნა პირი, რაც
მამა მოუკვდათ და დედამ ძაძა ჩაიცვა...

მთელი ოჯახი მგლოვიარობამ მოიცვა...

მას შემდეგ მათთვის მზე აღარ მზეობს;
ბაღჩაში ყვავილები დაძრა, ბაღჩარი დაი-
თრთვილა, ხეს ფითრი გაუჩნდა...

ობლად დარჩნენ პატარა და-ძმანი...

სიღარიბემ ბრკყალები მაგრა ჩაჰკილა,
მაგრამ მაინც წამოიზარდენ...

...და დაიქსაქსენ „ბედის საძიებლად“,
რადგან საკუთარი ჰერი ჩამონგრეული ჰქონ-
დათ, ხოლო კერაში ცეცხლი მიმქრალიყო და
ნაკვერჩხლის გაღვივებისათვის უნდა ეზრუ-
ნათ რამ...

ერთი ძმა აღმოსავლეთისკენ წავიდა, მე-
ორე—დასავლეთისკენ, მესამე—ჩრდილოეთი-
საკენ, მეოთხე—სამხრეთისაკენ და სხვანი კი-
დედ სხვა და სხვა მხრივ...

მას შემდეგ მრავალმა კოკა წყალმა ჩაი-
არა...

ძაძა-მოზურვილ დედას ნადგელი თანდა-
თან უქარვდებოდა: დღეს არა ხვალ მომიგ-
ლენ შვილები, ქონებითა და ცოდნით აღ-
ქურვილნი, თავის კარმიდამოს მოჰხედავენ,
სახლს დაჰხურავენ, საკუთარ ჰერს შევეფა-
რები; ძველებურად კერაში ცეცხლს გავა-
ღვივებო...

ამ ნეტარ ლოდინში იყო... და გაული-

მა ბედმა, დაუბრუნდენ შვილები, მაგრამ შეკრელებულ აზრ-ფიქრით აღზრდილები...

ერთს მთელი თვისი ყურადღება მხოლოდ ცისიერ მნათობთათვის მიეპყრო: ფიქრით ვარსკვლავთ შორის დასრიალგბდა, მეორეს — ოცნებით გადაელახნა დღევანდელი დუხჭირი ცხოვრება და შორეულ მომავლის განსახიერებით საზრდობდა, მესამეს — ყოველივე შეპზიზღებოდა და კაცთა შორის ფეხის დასადგამს ვერ ჰპოებდა, მეოთხე — ლითონის სიყვარულს გაეტაცნა, მაგრამ მისი ვადამუშავება ჯერ კიდევ კარგად ვერ მოეხერხებინა... სხვათა კიდევ — თავთავისი გზა აერჩინათ აზენდირებისა მოსაპოვებლად...

ყველას მხოლოდ საკუთარი მრწამსი ექცია კერპად და მას ეთაყვანებოდა...

ძმას ძმის დანახვა ემკვლევებოდა, ერთი მეორეს დაუნდობლად შეშპრავდა... დაცკი, სათნოების გამომხატველი არსება, სათავისოდ დაკუნტრუშობდა: თითქო მას არაფერი ეკითხებოდა...

— რას შვრებით, შვილებო, რას: ნუ თუ საუკუნო ნაღველს გსურთ შემაქამოთ?... როდისღა უნდა დაჰხუროთ სახლს...

— მოიშორე ის, მზე-მთავარეს რო შესცინის, — უთხრა ერთმა.

— შეაჩვენე ის, სამდროოზე რო ხელს იღებს, — მიუგო მეორემ.

— გაგვაშორე ის, მუდამ რომ გეჩხვერავს და ვეზიზღებით...

— არც ის გვინდა, ოქროს ტომარას რო შესტრფის...

ყველა — ერთი მეორეს სჩხვლეტავდა...

— ოჰ, შვილებო, შვილებო! რომელი თითი მოვიქრა, რომ არ მეტკინოს!..

მაგრამ შვილებს არ ესმით...

ქერ-ჩამონგრეულ სახლში გაუთავებელი შეფოთია...

ღობე-გადანგრეული კარმიდამო ათასი გამვლელ-გამომვლელის ფეხით იქელება...

გავერანებულ მამულს აქეთ-იქიდან ხარბი მუზობლები ნაქერ-ნაქერ ათლიან.

ძაძით მოსილ დედას კი იღუშალი ვარაში ყელს მოჰზვენია და ნაღველი გულს ულევს...

იოსებ იმედაშვილი

„На перевязку!..“

ის ბრძოლის ველიდან მოიყვანეს მეგობრებმა საავადმყოფოში. მას ზარბაზნის ყუმბარისაგან ორივე ხელი და ცალი ფეხი ჰქონდა დაშავებული. რომ სიკვდილისგან დაესნათ, ექიმებმა დაშავებული ალაგები წასკრეს...

ის ახლა მხოლოდ ერთის ფეხის ამარაღ იყო: ფეხი მუხლთან ჰქონდა წაქრილი და ხელები კი მხრებთან...

გინიხავთ წიფლის ხე, რომელსაც ტოტები ერთის მეტი ჩამოქრილი ჰქონოდეს?.. და იმას ჰგვანდა ის...

გაგიგონიათ თქვენ ჯოჯოხეთის საშინელები?... — ის ტრიალებდა მის გულში...

გსმენიათ თქვენ პირველ ადამიანებს რომ ედემი დაატოვებინეს, — რა ყოფაში იყენენ?.. და იმათ ყოფას წაგავდა ყოფა ამისი...

და იგონებდა... და იგონებდა დაკარგულ ედემს, დაკარგულ ედემს — თავის სიმრთელეს... და მოგონებათა რგოლები აღარ თავდებოდა... და მის თვალთაგან ნადენ ცრემლებით დაღბა საბანი... დაღბა ბალიში...

იწვა გულადმა და მოგონება ოცნებამ მოჰქლა... ხედავს სახლშია, გარს ახვევია წვრილი ცოლშვილი, ეფერებიან, უაღერსებენ, უაღერსებენ, ეფერებიან... ნაცრობ-მეგობარ-მეზობლებს მისთვის საჩუქრები მოაქვთ...

მკიცედ პირი შეუქრავთ, მის ცოლშვილს არ მოაშიონ, არ გაუქირონ... და უხარია... და ამ წამს იმას სულ დაავიწყდა თავის მდგომარე უბედურება...

და ჰფიქრობს... ჰფიქრობს... აი ხედავს, რომ სახლში დაბრუნდა ომ-გადახდილი, გამარჯვებული, სრულიად ჯანმრთელი, საღი, ვით უწინ...

ჰხედავს, ძველებურად ჩამბულია ცოლშვილის რჩენის ზრუნვაში...

ჰხედავს განაგრძობს დატოვებულ საქმეს, ომში წასვლის დროს დატოვილ საქმეს...

და მიდის კარგად, სულ კარგად მიდის მისი საქმენი, მისი ცხოვრება...

ბედნიერია... და უხარია, უხარია...

და მის საწოლს ამ დროს ორი მოსამსახურე შიადგა, საგორავი გაუკეთეს, კარებისაკენ გააქანეს და მხოლოდ მაშინ გაოიორკვა, როცა მზრუნველის ხმით უთხრეს:

— „На перевязку, голубчикъ!..“

გიორგი ლომთათიძე

რკალეპი

ჩვენნი „ალუბლის ბალი“

ფუელი.. აი, ის სიადუმლო, ჯადოსნური ძალა, რომელიც მთელის სტიქიით შემოიპყრს ქართველი ერის ცხოვრებაში, ახალი ურთიერთობა დაამყარა და ახალი მორალი შექმნა.

მან დაამანის ფისიკას თავისებური დადი დასწავა, ჩაქვლას ძველი კანკაეტილობა და რაინდული სიამაყე—თავგანწირვა. დღეს თათქმის ეველათური მითი განიზომება, მის ირგვლივ ტრიალებს და მისი წვეურფილით გაუერთილია. ფულმა ჩვენში დაჭბადა ახალი სახის, ჯერ უცდელი ტრანკადია. მისმა სიადუმლოებამ გარდღვია წოდებრიობის ზღუდე და უკანასკნელთან უბიძგა-ტესობა მისცა ზიარად უნარსა და მოხერხება-მოქნილობას. ამ მხრავ მან თითქმის განათავისუფლა დამონებული წოდება, გზა გაუკაფა ეოფელ ზირთვრებას და წოდებრიობის ვიწრო კორიზონტი მიღვეწ-მოღვეწა, მაგრამ აქვე იგი დასაბამი შეიქმნა მეორე სახის მონობისა, რომლის კლანკები მაგრა სწვლად მშრომელ მასას. ფულის პატრონი შეიქმნა ძლევა-მოსილი მეფე, რომლის წინ საშინელ დრტვიანაში და ჭანან-წვევტაში მიდის მისთვის მშრომელთა ცხოვრება. ასეთია კაპიტალიზმის ტენდენცია. ვინან ეველასე უფრო გაურბის და უფროთხის მის პატრონობას, იგი ეველასე უფრო უმწველად ამ ბრძოლაში და სხვებზე ადრე ემორჩილება მის უხეშ და ვერაგულ ძალას.

და აი, შემოიპყრს იგი მთელის ძლევა-მოსილობით ჩვენს ქვეყანაში და ნელ-ნელა, მაგრამ მოუხრეველად სიმტკიცით გაბატონდა ეველასე და ეველასე. თითქმის ინსტიქტით შეიძინა ჩვენმა თავად-აზნაურებამ მისი ძლიერება და მთელის არსებით ეძიებდა მას, უნდოდა ამ ახალ ძალის მოტეხა, მაგრამ საშინელმა უღმობულოებამ თვითონ შეამარბი მოსტეხა და უმოდრად მიწასე განართხა. იგი ჯერ შაინც არ სთმობს, მას უნდა ხელთყენურის ძალით შეახერხოს ძველი, ეყოლადღური ურთიერთობის რღვევა, აზნაურთა თბილი სიბუღარი, სცა ასეთი ტკბილი და თბილი იყო ცხოვრება.. სცა ღაღად დაფრენდა ფანტაზია, იწვრთნებოდა ცხოვრებისეგან შეუღახუელი თავმოყვარეობა—რანინდობის სტიქია.. სცა არ

იყო შრომა. კარგი და ნეტარია მისთვის ეს დღეები, წარმტაცი და სახამო იყო სადამო ჟამს ხვს-მოდებულ აიგანსე სიოს თამაში. თეთრი ვარდები, სურნელთვანი ევავილები და „ალუბლის წითლად შექობრილი ბადები“.

„მაცადეა“, ვეკადრებს იგი, „ნუ ჩამიშასამებთ ეოფას, მიმაცანინებთ ბოლომდის ტკბილი და უხრუნველი ცხოვრება, როგორც ჩვენს ზამებს მიუტანიათ“... მაგრამ სასტიკია ახალი ძალა, იგი მის კვრესას არ უთმობს და უღმობუღად ანდვევს ხვს-მოკიდებულ კაშკებს, კაფავს აღუბლის ბადებს და მის ადგილას ქარხნების გუჯუნი გაისმის, შავი ბოლი ცამდი აღწევს და სასხას ვარსკვლავებს თერს უკრთობს. აქ ირღვევა ძველი ცხოვრება მთელის ურთიერთობით, მაგრამ აქვე ევრება მტკიცე სპირკველი ახალ ეპოქას, ახალ ცხოვრებას—მისი ძალა შრომაშია.

ამ გარდამავალ ხანაში ისკვება საშინელი ტრანკადია ძველის ეოფისა, მისი ღამაზი ნუქურთმები იმსხვრევა და ილეწება. აქ მის სახეს ერის მხრით მიუდგებთ.

ზირველი—თბიქტიური. მეცნიერულ-პუბლიცისტიურია. მას სწამს მარტო წინსვლა და ამ პროგრესისათვის იგი არ შესდგება ანავითარ დაბრკოლების წინ, მან არ იცის შეცდობა: დაუღალავ სწრაფაში და წინ სვლაში იგი დაუღალავად ლეწს და ანადგურებს ძველ ეპოქის საძირკველს.

მაგრამ არსებობს მეორე მხარე, უფრო სუბიექტიური, იგი წმინდა ფისიკლოგიურ მომენტებიდან გამომდინარეებს; იგი მხარე მხატვრული სახეობაა და მას ხელთვანი უდგება ნაზის გრძობებით. მას იზურობს ადამიანთა სულის ნაზი ორგანიზაცია, მათი უშედეგო ფუსიფუსი, წამებანი და საშინელი კვრესა მომავლავისა. მხატვრიც ხელავს სინამდვილისა და პროგრესის ძალას, მისი თაყვანის მტემელია ისიც, მაგრამ მის წინ იმლება, ამ გონებით დასაწყისთან ერთად, გრძობის სარბიელი სცა იგი უღანაშულო ადამიანთა საშინელ ტანჯვასა და ტრანკადიას დრმად სწვდება. ძველი თაობის სუღიერი ქენჯინი და კატასტროფები გლეჯენ მის სუღსაც და ის, ვით კაცთმოყვარე, ნაზი არსება, თბილის გრძობებით უდგება ამ საშინელ ტრანკადიას, იის ტრემლებით ჭბანს მათ კრილობებს და მოწიწებით

უხვევს მათ. მან იცის, რომ ეს ლეშია, რომ იგი დღეს თუ ხვალ ჩაესვენებას საშუალოდ სამარეში, მაგრამ ტანჯულთა ბანაკს მაინც უოხებს და წმინდა აიაზმის აპკურებს მთელი დღის ძაღის მკვლახებისათვისაც ამ ბანაკში საშინელი ფანა-ფუსტი და უნიადაგო ზრუნვა იხენს თავს. მაგრამ მსატარმა უწეის, რომ უოველივე ამის ჩაქრობის ხსალი ფაქტორის ტიტანური ძალა და ძველ თაობას სიკვდილთან შეარაკებს;— აქ დამკვიდრდება საშინელი ტრაგედია მდუმარებისა, სანა მარტო კენესადა გამოედება დამსხვრეულ სულთა. მსატარნიც წარმტაც კალეიდოსკოპში შლის ამ უძირს სეგდის მრავალ-სახეობას. იგი ტრაგედია გარეგნულად არ გამოდის, ჩვენთვის სრულებით უსილავი ხდება ამ სულთა მსხვრევა და უგულვანი, მამაფლის სიყვარულით გატაცებული, ჩუმათ ჩავივლით მის გვერდით, არ გვინდა ვიცოდეთ, რამდენი ახსება მტყუვს ამ ხსალ ურთიერთობის საძირკველს და საშინელ ტკივილებში დაღია სული. აქ არ არის ბედის წვევა, არ არის სხვათა გმობა და წინსვლის თრგუნვა... ყველა ამის უშედეგობაში ეგვე დარწმუნდა ძველი თაობა მაგრამ აქ არის ზრუნვა ხსალ ცხოვრებისთან შეგუებისა, ხსალ ფერხულში ჩაბმისა— ცხოვრების დაუშრეტელი წადილი, მაგრამ... ვით შესძლებს ადამიანი საუკუნეებით შექმნილ ფსიხიკის ერთის დაკვრით გარდაქმნას, მის დარღვევას და ხსალ ნიადაგზე აღმოცენებას? და ისინიც გულხელ დაკრეფილნი, უსახდრო სეგდით მოცულნი მიდიან ურუ სამარისაკენ, რომლისაც ასე უშინათ და რომელიც ერთადერთი გზა ხსნილია მათი უშედეგო წამებისა. რამდენი მდიდარი მასაღას ნახი თვისების შემოქმედისთვის... იმ შემოქმედისთვის, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს მარტო ტრანსფორმაცია, გარეგნულ ფორმათა ცვლა და, რომლის ინტიმობა ფსიხიკოლოგიურ სტრუქტურაში დღეოდ ივლებს... რამდენ მტრულს ქმნებს იგი ამ მდუმარებაში და რამდენ მარადილს, წრფელ ცრემლებს ჩამოადენს იგი დამკვიდრებულ სულთა ცხოვრებაში წარმოშვა ამ მდუმარებისა და უნიადაგო სწრაფათა საუკეთესო მსატარი. აქ მის მწარე კენესა აღმოხდა ალუბლის ბაღის გაკათვაზე. ჩუბოვი ხვალდა ლაზუნის ძაღს, ფულის სტაქიას, მაგრამ მისი კატომიფიკაცია ბუნება ზრუნვით და მშვენიერის სეგდით დასტრიალებდა დარღვეულ კერას.

იგივე ტრაგედია წარმოიშვა საქართველოშიც და აქაც ამ მდუმარებაში მშვენიერი გამოხსენება ქმნავს ბელეტრისტის შემოქმედებაში. ირდევას ძველი საქართველო, იშლება ფოლადღური ურთიერთობა და ამ რღვევას ქვეშ ექცევა მრავალი, რომელთაც ასე სწადით ხსალი ცხოვრებით სუნთქვა. მაგრამ არ არის ძალა დაუდალვის შრომისა, არ არის ენერჯია მის შესაგუებლად. საუკრულია ძველი კერა, მტკიცე ნება და ზრახვითა ხორც-სხმა; დღეს კი უოველივე ამის ნიადაგი გამოეცალა. ფულის ძალა გამოფადა ყველგან და იგი შეუბრალებლივ ღეწს თავის უარმყოფელ, შეუგუებელთ და მათ თბილ საბუღარს ანიაგებს... თქვენ ფურცლავთ ამ საშინელ ტრაგედიის წიგნს და ხელნელა გეშლებათ თვალწინ სულიერი ტანჯვა და ფსიხიკურ განდღათა სიღრმე.

ვერ გადევ მოუტყუელია ძველი აზნაურის ძიება: მას უნდა სრიალებით და მოხერხებით გავიდეს ფანს და ხსალ ურთიერთობაშიც ძველის უზრუნველობით იცხოვრეს. მაგრამ მწვეგად სჭის მას ცხოვრება. სოფლიან მობრუებად გუწუნარებლივ დაჩიქნიქებს გაძვალტუავებულ ჯორს, რომ რეგორმე „მამუღობით“ ის წვეული ფული იშოვოს, მაგრამ ეს გამოქნილი ადამიანი საშინლად ტუდება და ბრახ-მორეული ცხელ ცრემლებს უღანავს— არ იცის ვინ გამოტყუნოს, ვისი ბრადია ყველა ეს და მისი გულიც „სიბრალულით ივსება უოველ დაჩაგრულისადმი“...

და რამდენს ასეთ უნიადაგო ფუსფუსს ქმნებთ და ვით კლდაიშვილის მადღიან შემოქმედებაში...

რამდენი სიცილი და ქუმორია დაფრქვეული ამ შემოქმედებაში და ყველა ეს გამოწვეულია ძველი თაობის უნიადაგო ფუსფუსით, რომ რეგორმე ხსალ წეობაში ძველი ურთიერთობა გადმოიტანონ და ხელაფურხა შეინარჩუნონ.

მაგრამ ეტ ღტოლვა უკვე დრო მოჭმულია, იგი ვერ მოუღობს დასამკვიდრებელ ძაღს და პირველ შემთხვევისათვისაც სსსსცილოდ იმსხვრევა. უოველ მის ხსალ ცღას ასეთივე ბედი მოკლის. იგი ჭეშმარიტი დონ-კისოტია, მაგრამ ხომ არის ტრაგედიის ჭეშმარიტი ნაკვთი დონ-კისოტის ბედი... ასეთსავე ტრაგედიას ვიპოვით ამ სტოლავთა და უნიადაგოდ განაწამებათ ბანაკშიც.

უველა ამას ზრუნვით და თბილის გრძნობებით შდის მსატრულ რეალობით დ. კლდიაშვილი.

მაგრამ რამდენადღე უფრო ინტენსიობით მიდის ამ ზირთა ზრუნვა და ფუსფუსი, იმდენად უფრო ახლავდება კატასტროფა და იმდენად უფრო რწმუნდებიან ისინი, რომ ახალ ნიადაგზე მათი ფეხი ვერ მაგრდება და ისინი ჰქაერში არიან გამოკიდებულინი. ეს გარეგნული უცდილო სასაცილოება ვერ ამოსწურავს არსებულ ვითარებას. მწერალსაც სწორედ მეორე მხარე აინტერესებს, რომელიც ჭკუშმარიტი დასაბამის სულიერ ტრაგედიას. იგი ხედავს სულიერ ტანჯვას ამ მოდელი, გარიჟიჟ ადამიანთა და ამ ფსინობოგიურ სიერობში გარდაეშლება დაუსრულებელი ზღვა სევდისა და ცრემლებისა. ავტორმა ამ კომიზმით აღსაყურ მოკლეებში გასწავა მადული ტრაგედიის დასისგრეულ სულთა და მით ჩვენი გრძნობანი აქეთკენ მიმართა. მან შეგვაუვარა ეს უღანაშეკლოდ დასჯილთა ბანაკი, კეთილშობილურად დაგვაახლოვა ამ წამებულ სულთან და მშობლიური ზრუნვა ადრე ჩვენი. და ჩვენ ვპოეთ საოცარი მეტეველებს ამ მდუმარეთა ბანაკისა— იგია სევდის, უმოქმედო და უაქტო ეოფის მწუსარება.

მოსწინდა მას უნიადაგო შრომა, დაწმუნდა ფუსფუსის უშედეგობაში და, მამავლის სასეტაროდ, შეურიგდა სიკვდილს, აუცილებლობის გზას თავდახრილი მიჭევა.

„და გღია ნასევრად მინგრეულ ტანტზე ძველი სახლთ-ურუცისის შთამომავალი, დიდებული აზნაური როსტომ მანგულიძე... უმოქმედობაში მიდიან მისი რუხი დღეები; მან იცის, რომ ხსნა მარტო სიკვდილშია და ჩუმად ცრემლებს უღამავს. ოდნავ ბუუტავს მის კერაში ნახურწკალი, საცაა იგიც მალე ჩაქრება და საშინელი სიკვდილი გამოეფლება „აზნაურთა თბილ ბუღეში“.

ერთს კიდევ წამოჭყოფს თავს და ამოთხებს: „მუდამ ასე უნდა ვეცდეთ? როდემდის?!.. მაგრამ ზასუხი არსიდან ისმის. იგი უველამ იმადგოდ და მიატოვა, არ შორდება მარტო ბებერი ნაფივი, ეს სუსტი გამოხმარება ეოფილ ძლიერებისა.

იგი ინსტიქტიურად გრძნობს, რომ სადდაც, შორს ხალხს ზრუნავს, მოძრაობს, სტოცხლობს და ნეტარების ნეტარს ეწაფება... მაგრამ იცის,



გ. დ. გრიბთავი (1811—1864)

ხვე ამომწვარ-ამოჭრილი დუშიკო ფალავანდიშვილის მიერ. ფოტ. ან. ფალავანდიშვილისა.

რომ მისთვის უოველივე ეგ მიუწდომელია, რომ მან გაათავა ცხოვრებასთან უოველივე ანგარში და, რადაც უცნაურ გაუგებრობის გამო, იგვიანებს ამ სოფლად.

და ეს საშინელი მდუმარება, რომელიც მარტო დიადის მასშტაბით განიზომება, სწვდება ჩვენი სულის სიდრმეს და სიბრალულით გვაყვებს.

ასეთია განდამავალ ებოქის უღმობელობის ძალა...

ჭკუშმარიტად შეუდარებელი გამოხატველი ჭზოვა მან ამ ნიჭიერ ბელეტრისტში. ამ მდუმარების გარდაშლით მან მთელი ზღვა გაშალა ჩვენთვის უცნობ ტრაგედიისა და ჭკუშმარიტი სიბრალული გამოიწვია ამ უშედეგოდ წამებულთადმი.

კლდიაშვილის შემოქმედება ზაწია რკაღში ვერ ამოიწურება, იგი დაევირეებით გარჩევას ითხოვს. მე ერთხელ კიდევ შევეცადე ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთერთ რეაქციას ეს მასალა განხრეკის დროს წაართვეს და დღემდის არსად სჩანს.

მაგრამ ამ შემთხვევაში მე მარტო ერთი მხარე მაინტერესებდა ამ შემოქმედებისა... მისი საიდუმლო, მომხიბლავი ძალა სწორედ იმ მეტეველ მდუმარებაშია, რომელიც მშვენიერ და ნაზ გრძნობებს წარმადგენს მეთხველში და რამელიც ავტორის საუვარედ ჩეხოვთან აგრე რივად ანათესავებს.

დიდად შეიძლება ამ ტრაგედიის განვითარება და სწორედ ამ მხრივ უნდა მიუღეს მდუმარებას ჩვენი ახალი მწერლობა.

აკაკი ზაბავა

სახალხო მოღვაწე- მასწავლებელი

არსენ სიმონის ძე წითლიძე—ა შუბნელი
და იერემია გულისაშვილი



ა. ს წითლიძე

„ცემა გმართებს გამზღელისა, თუ ყრმა ჰნახო ავად ზრდილი!“ სთქვა ჩვენმა მრავალ ქირ-გამოვილილმა მგოსანმა დავე. გურამიშვილმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში, და მართალიც იყო.

აჲდ გამზრდელთა ავი ნაუფი ჩვენს ერს არასოდეს ისე არ უგემნია, როგორც დღეს, დღეს, როდესაც ახალი თაობის ქეშმარიტი აღმზრდელ-გამწრთენელი, ხალხის ნამდვილი მეგობარნი ასე ცოტანი არიან!..

ერთი ასეთი იშვიათი შეგნებული მასწავლებელი და სახალხო მოღვაწეთაგანია არსენ სიმონის ძე წითლიძე, მწერლობაში ა შუბნელის სახელით ცნობილი, რომელიც ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აქარა-ქობულეთს წარგზავნა, იერემია გული-საშვილთან ერთად, სკოლების მოსაწყობად...

ა. წითლიძე გურულია, აკეთის საზოგადოებიდან, გლეხთა ჩამომავალი; გაათავა ხონის საოტატო სემინარია და უმეტესი დრო თვისი სიცოცხლისა დაბა-სოფლის მასწავლებლობაში გაატარა; მასწავლებლობდა ს. ვანს, ოზურგეთს... ერთხანად ძველ-სენაკის სკოლის გამგედ იყო, უკანასკნელად—წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის გამგედ. ვგონებ 1896 წ. იგი არჩეულ იქმნა სოფლის მამასახლისად, 1897 წ.—1902 წ. ძველი სენაკის სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის“ საქმეთა მწარმოებლად, რომელ თანამდებობებშიაც მუდამ თავგამოდებით მუშაობდა ხალხის კულტურულ-ეკონომიურად აღორძინებისათვის, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილია ვითარცა სოფლის ნამდვილი მასწავლებელი და ხალხის იდეური მოღვაწე...

თითქმის ოცდაათი წელიწადია, რაც ა. წ—ძე სამასწავლებლო-სახალხო ასპარეზზე მო-

ღვაწეობს. იგი გურიის იმ ჯგუფის წევრია, რომელიც ამ ოცი—ოცდახუთის წლის წინად შესდგა გურიაში ხალხში სინათლის შესატანად. ა. წ—ძემ თავის თმნამოაზრებთან ერთად გურიის შუაგულ სოფელში (აკეთში) დაარსა „პირველი სახალხო სამკითხველო“; ეს იყო პირველი თესლი, პირველი სანთელი, რომლის შემდეგ გურიის სხვა და სხვა სოფლები სკოლა-სამკითხველოებით მოიფინა: სადაც სკოლა არ იყო—საზოგადოებას დაარსებინა, სამკითხველო გაახსენებინა, არსებული სკოლები—ორკლასიანებად გადააკეთებინა და სხ. იგივე ა. წ—ძე იყო საკვირაო სკოლების და სახალხო წარმოდგენების მოწყობის ერთი თაოსანთაგანი...

გარდა ამისა, ა. წ—ძე ჩვენს მწერლობაში ცნობილია ვითარცა ხალხის განათლების შეუღრტეკელი მქადაგებელი, თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ა. შუბნელის სახელით.

წ—ის წერილები განსაკუთრებით სოფლის საქირ-ბოროტო კიჲხვათა გამორკვევას, ხალხის განათლებასა და მასწავლებელთა მდგომარეობას ეხება.

ვინ არის და როგორი უნდა იყოს მასწავლებელი?

ა. წითლიძის აზრით, სოფლის მასწავლებელი ერთად ერთი მანათობელი ვარსკვლავია სიბნელით მოცულ სოფელში, უპირველესი მუშაკი, ხალხში განათლების გამავრცელებელი, სოფლის სასურველი მოზარდი თაობის მომზადებელი, სოფლად ახალი აზრების, საღი შეხედულების გამავრცელებელი, ახალი, უმჯობესი ცხოვრების შემქმნელი. გარნა ეს მოვალეობა რომ პირნათლად შეასრულოს სოფლის მასწავლებელმა, თითონ უნდა იყოს ყოველმხრივ მომზადებული, შეგნებული, განვითარებული, ფიზიკური, ცხოველ-მყოფელ იდეით აღჭურვილი. გატაცებით უნდა უყვარდეს სკოლა და ხალხი და ყოველის ღონისძიებით პირნათლად ემსახუროს ერთსაც და მეორესაც...

თუ ჰსურს ცხოვრების გაუმჯობესობას, ხალხის წინსვლას ხელი შეუწყოს, თითონ თავისუფალი უნდა იყოს დაობებულ აზრე-

ბისა და შეხედულებისაგან... თუ უნდა სოფლისაკენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს გაუკვლიოს გზა და სოფელი გონებით აღებმიცემობას შეაჩვიოს, თითონ უნდა კითხულობდეს ძლიერ ბევრსა... თუ ჰსურს თანამემამულეთა შორის სამშობლო ენის სიყვარული გააღვიძოს, ჯერ მისი საკუთარი გული უნდა ენთებოდეს სამშობლო ენის, სამშობლო ლიტერატურისა და ყოველისავე მშობლიურის სიყვარულით. სოფლის მასწავლებელი საკუთარის მაკალითით უნდა ზრდიდეს მოწაფეთა შორის და სკოლის გარედაც ერთის მხრით სიყვარულს ყოველისავე კეთილისადმი და მეორეს მხრით უზომო სიძულვილს ყოველისავე იმისას, რაც „უშლის კაცსა სულის მალლობას“. სოფლის მასწავლებლობა დღეს მსხვერპლია და ამ სხვერპლის შეწირვა შეგნებით უნდა სწარმოებდეს... სოფლის მასწავლებელმა უნდა შეჰქმნას მკითხველთა წრე, მესვეურობა გაუწიოს ყოველსაგანმანათლებლო დაწყობილებას, ხელი შეუწყოს თვით განვითარებას, ხალხის გათვითცნობიერებას და თუ მასწავლებელი სკოლის გარეთაც არ ავრცელებს განათლების სხვის, ცოდნას, რომ სოფელი გამოფხიზლდეს,— რაც უნდა უნაკლოლო სახელმძღვანელოები ჰქონდეს, სკოლა თავის მიზანს ვერ მიახწევს, ვერც ერთ შეგნებრლ წევრს ვერ შესძენს სოფელს... თუ ჩვენი ქვეყნის გათვითცნობიერება და დაწინაურება გვწადიან, ყველა მასწავლებელი ერთ გზას უნდა ადგეს აღზრდის საქმეში, ერთი განსაზღვრული მიზნისკენ მიიღტვოდეს, რომ ერთის მუშაობა მეორის ნაამაგარის დაშლა არ გამოვიდეს და ერთის გზით მიმავალ სინათლის მთესველთ მუდამ გულზე ეკეროთ: „აჲ ბრძენი... ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია!“



ი. გულისაშვილი

მეორე მასწავლებელი-მოდვაწე, იერემია გულისაშვილი, არა ნაკლებ ცნობილია ჩვენს საზოგადოებაში, როგორც გამოცდილი მასწავლებელი და დრამატურგი. იგი გარე-კახელია, სოფ. საგარეჯოდან, კარგა

ხანს მასწავლებლობდა თბილისში და სოფლის ყოველ საკულტურო-საგანმანათლებლო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. მან დასწერა ორი პიესა „ცხოვრება ბრძოლა“ და „დრონი შეფობენ“ (ქართველი საშუალო ინტელიგენციისა და ხალხის ცხოვრებიდან), რომლებიც არა ერთგზის წარმოუდგენიათ ქართულ სცენაზე. ი. გულისაშვილი, როგორც წინათაც აღვნიშნეთ, ერთხანად ქართ. სახალხო წარმოდგენების ალორძინების საქმეშიც მონაწილეობდა...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოებისგან მიწოდებულ საქმეს—ქართველ მაკმადიანებში განათლების სხვის შეტანას—სასურველ საძირკველს ჩაუყრიან, რომ ნაყოფიცა კეთილი ვიგემოთ...

იოსებ არიმათიელი

ყვავილები

ცისფერ თვალზეა

მგონია თითქო ბრბოდან გამოვა
ლაშაზი ქალი ცისფერ თვალზეა.
გ. ტაბიძე

ასარგადონის შენ ხვევია გვწავდა
და მუშკამბარით ნაზელი ტანი,
ტბაში ლოტოსის ყვავილსა ჰგავდა,
—ცოდვის საწოლი—იყო აკვანი.
სასტიკი ომის საყვირი მოსთქვამს,
კოცნის ისარი გასროლილ ისარს
სიკვდილის წინეთ შენზე ფიქრი კლავს
მონას, მეომარს, ამაყ სპასალარს...
ვინ იტყვის ახლა სადაა ტანი,
რომელი მიწა ფარავს სარკოფავს,
ასეა ჟამი—არვის გამტანი,
ასეა ჟამი, არავის ზომავს...
და ღარჩა ქვეყნად ცისფერი თვალი
ციცინათელად დაფრინავს ღამე,
მაზე ლოცულობს პოეტი მთვრალი
და ორივესთვის არის სიამე.
და დიდხანს ივლის ცისფერი თვალი,
ბევრი მგოსანის დახუჭავს თვალებს,
თვის მარტოობით თვითონ დამფრთხალი
სხვის მარტოობას ღმერთს შეებრალეებს...

გ. ტაბიძე



შტ.-კაპ. გ. გ. ჩუბინაშვილი

მეჯვრისხვევლი (გორის მაზ.), მამაცობისათვის კაპიტანის ხარისხით დაჯილდ. გასულ წელს 31 მაისს ბრძოლის ველზე მძიმედ დაჭრილი უკვალოდ დაიკარგა. მეუღლე და ოთხი წვრილი შვილი სთხოვეს ყველას, თუ ვინმემ იცის რამ მის შესახებ, აცნობონ ნინო სოლ. ჩუბინაშვილს გორში.

ხ ა ბ ა ზ ი ს ს ი მ ლ ე რ ა

ხაბაზი ვარ, პურის მცხობი,
დღე მარადის ცეცხლში ვსტურავ;
როს ბუნება ჰყინავს, სთოშავს,
მე მაშინაც ოფლს ვიწურავ.
როს სიცხეში განცხრომის ძე
ეტანება მთის ცივ წყალსა,
მე მაშინაც ცხელ თონეში
ოფლით ვაქრობ ნაღვერდალსა.
როს მათ სძინავთ ტკბილის ძილით,
ისვენებენ განცხრომითა,
მე მაშინა ცოცხა ვზელოვ,
სევდიანის ღიღინითა.
სხვებს რომ დილა უთენდებათ,
მზეს შეჰხარის მათი გული,
მე მაშინა ბნელ ოთახში,
პირქვე ვწევარ მოქანცული.
მე დღეთა მაქვს—ღამე ბნელი,
გრილ ნიადად—თონე ცხელი,
დღიურ ლუკმის გულისათვის
ცეცხლში ვიბრძვი გულმკერდსველი...

„მ მ ი ს ს ი მ ლ ე რ ა ბ ი“—დან

(რუსულიდან)

... ხელი იტაცა ნატყვიარზე და ჩაიჩოქა,—
სისხლ-ნარჩვე ტალახს მიესვენა, ღონე მიხდილი.
წამით იელვა მოგონებამ: მას შინ ელიან...
სამშობლო, სახლი, წარმოუდგა, როგორც აჩრდილი.
„მშვიდობით... ველარ დამინახავთ თქვენსა ქოჩორას!..“
და შეწყდა გრძნობა, რაც იფიქრა—ენამ ველარ თქვა...
უცხო ადგილას უცხო ხალხი უთხრის სამარეს...
უმოწყალეოდ ზედ ეყრება მიწა, ლოდი-ქვა!..

მ. ველისცინელი

მე ცხოვრება უკულმა მაქვს,
ბედის ჩარხიც მისებრ ბრუნავს,
ამ უზომო ოფლის მღვრელსა
არც მაკვია, არცა მხურავს.
მკერდს ცეცხლი მწვავს, ბეჭებს—ყინვა,
შიშველ ფეხებს—იარები;
ვით ეული, სხვა ქვეყნელი,
სხვათა კარზე ვიარები...
ცხოვრებისგან გატყორცნილი
ცოლშვილს ველარ ვეკარები,
უმეგობრო, უთვისტომო,
შავ მიწასა ვფარები...
მაშვარალსა და დაქანცულსა
სათორნეში სული მხდება,
მშობელი კი ცხრა მთას იქით
ჩემსა ნახვას ელოდება...

გ. შინატენელი

გლახაკი ძალის დასაფლავება

(აზრი ნასესხებია)

შავით შემოსილ ქვეს მუშას შენი ცხედარი
ცვი სამარისკენ მიაქვთ თათქა ძაღდატანებით;
არ ამხნევიათ მწუსარების კვადი სახეზე
იმთთვის უცხო დედაკაცის გარდაცვალებით.
უამგ შეწვებიტე უფგელივე ბედთან კავშირი
და განუშორე წუთისოფელს, მისგან ტანჯული;
იძინებ მუდამ შთადებული ხრწნილების უთოში

შეგიშინებთ ქვეშე სეკუნდ შეკვდებულნი.
 არვინ გადინსა გაცილება სასაფლაოზე,
 არვინ აღმჩინდა შენი ესდენ ზატივმცემელი,
 რომ დაენამა ცივი გვამი მდუღარე ტრემლით
 და აღჩინდა შენი მიცველით გულში ნადველი.
 არ დაეხანე, სხანს, არავის გაჭირვებასთან
 მუდმივ ბძობითა დაქანტული მიცვალებული,
 და მარტოადენ სიდაბიბე არ განგეშარა,
 კუბოს ფიცრამდის იგი დარჩა შენი ერთგული.
 აღაშინას სიძუნწემან ძველი ძინძებიოთ
 შეგომოსა შენ მზრუნველობით სხეული მკვდარი
 და სჯულის ძველ წესებისა აღსასრულებლად
 შენს კუბოზედაც დამსხვრეული დააკრა ჯვარი,
 მაგრამ მკვდარი ხარ... შენი გვამი აღარას ფიქრებს,
 არცა რამეს გრძობს დასამარხად გამზადებული,
 და აღამიანთ სიბოროტით გაქვდენთიდ ქირღვას
 ვერდა შეიტუბას შენი გული გატავებული!

ილ. ფერაძე

აღელდი, ზღვავე!

როს არ უჩანს ტანჯვას ბოლო,
 კვლავ ზამთარი მეფობს ცივი,—
 ამ დროს, რისხვის ხმად ქცეული,
 ზღვას მოუხმობ, ზღვას უყვივ!

აღელდი, ზღვავე, და ტალღები
 ტანჯვის ზღუდეს შეაჯახე,
 დაანგრე და აღგავე
 ამ ქვეყნიდან მისი სახე.

და შენც, ძღვევის ქარიშხლო,
 აღსდევ, მძლავრად დაიქროლე,
 შეარყიე ეს ქვეყანა,
 ტანჯვის ღმერთი შეადრწოლე!

იგრილვ, რომ შენს ძალას
 თვით სატანაც ქედს უხრიდეს
 და დემონი, სისხლის მსმელი,
 შებრალების ტრემლებს ღვრიდეს...
ბ. ვარდოშვილი



გ ლ ე ხ ი-მ ს ა ხ ი ო ბ ი



ანდრო მურუსიძე

ანდრო მურუსიძე, გმირთა როლებების აღმასრულებელი, თითქმის ათი წელიწადია, რაც სამშობლო სცენაზე მოღვაწეობს. პირველიად გამოვიდა ვ. მესხიშვილის რეჟისორობის დროს, შემდეგ შალვა დადიანის დასში გაიწაფა და მისავე „მოგზაურ დასში“ მონაწილეობდა. ცნობილია, როგორც კეთილსინიდიანი და მშრომელი მსახიობი: იშვიათია ნაკისრი როლი კარგად არა სცოდნოდეს და შეგნებით არ შეეცრულებინოს. ამ სთანავე აღენიშნავთ, რომ იგი შინსასოფლო მეურნეობას მისდევს, როგორც თავისი თანამოძმე გლენნი: ხშირად მინდორში მუშაობის შემდეგ რეპეტიციაზე მიდის, ანუ სცენაზე გამოდის. მისი როლებია: ლევან ხიმშიაშვილი, გაიოზი, დათო, მარკუსი და სხ. ქუთაისის დასში იგი თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს. 21 იანვარს დანიშნულია მისი საბენეფიო წარმოდგენა („მურად-ფაშა“).

იმედია ქუთაისის საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ამ ღირსეულ მუშაკს ამავს. —ლი

ბელი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად
 (დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 2)

VI

ივინივე და მარიამ დედოფლის მამის მსახური.

მარიამ. (შემოსულს მსახურს) აბა, ჩქარა, რას მეტყვი?

მსახური. (მუხლებზე დაეცემა მარიამის წინ და კაბის კალთაზე აკოცებს) მამა შენმა მოგახსენა, დედოფალი, ყველაფერი შეიტყე-

სო და მთავრობამ ზომები მიიღო და ყველა გზებზე დარაჯები დააყენეს.

მარიამ. რაო?... რაო?... დავიღუპე!.. ახლა რაღა მეშველება?

მსახური. მოგახსენა კიდევ, რომ ახლავე აქ გაჩნდებიან...

მარიამ. წადი ჩქარა, უთხარი ყველა კარები ჩაჭკეტონ და არავინ არ შემოღუშვან!

ბაგრატი. მაგას ვინ დაუჯერებს! თუ მიბძანებ, მე ვიახლები. (ბიჭი განზე გადაგება)

ოთარ. ბაგრატი! ნუ იზამ მაგას, ძალით შემოვლენ, კარებს დაამტვრევენ. აქ ხომ ლატს დაგვწამებენ.

ბაგრატი. ვერაფერს ვერ დაგვწამებენ და კარების ჩამტვრევასაც ვერ გაჰხედავენ.

ოთარ. რას ამბობ, სალდათებს შეაჩერებ რითიმე თუ უფროსი უბრძანებს!

ბაგრატი. არა, არა, მაგას არ იზამენ!

მარიამ. წადი, წადი, ჩემო ბაგრატი! ნუღარ აგვიანებ! (ბაგრატი საჩქაროდ გადაის) ოთარ! გთხოვ, გვედრები, დამიფარე, დამიხსენ იმათგან მე და ჩემი შვილები!

ოთარ. როგორ დავიხსნა და დავიფარო ასი სალდათის წინ, შეგსძლებ კი?

მარიამ. (შრისხანედ) უჰ, მხდალო! მე თვითონ დავიხსნი ჩემ თავს, თუ აგრე არის!.. წადი, კარები გაუღე იმათ!

ოთარ. ნუ ჯავრობ ტყუილად, დედოფალო, დაწყარდი და გულ-დასმით მოვიფიქროთ საქმე.

მარიამ. მოიფიქრე! ვინ გიშლის?!

ოთარ. რას იზამ, თუ მოვლენ და გეტყვიან, რომ ამ წამსვე უნდა გახვიდე თბილისიდან?

მარიამ. აქედამ მე არსად წავალ, არსად! და მაგის თქმასაც ვერავინ გამოიხედავს!

მსახური. რას მიბძანებ, დედოფალო, მამა შენს რა მოგახსენო?

მარიამ. წადი, საჩქაროდ, ირბინე, მოახსენე ახლავე მთავარ-მართებელი ჰნახოს და სთხოვოს ჩემთან მობრძანდეს, დიდი საქმე მაქვსთქო!

მსახური. ბატონი ბძანდები! (საჩქაროდ გადაის).

ოთარ. შენა გგონია, რომ აი ამ წამსვე გეახლება შენ მთავარ-მართებელი?

მარიამ. რატომ არ მიახლება? ჯერ ერთი, რომ მე დედოფალი ვარ და მსურს იმისი ნახვა და მეორეც ისა, რომ ჩემი ნათესავია და...

ოთარ. საიდან არის შენი ნათესავი? ჯერ იმისი პაპა იყო გადასახლებული რუსეთში ეკატერინე მეორის დროს და იქ მთელი იმისი ოჯახი გარუსდა. ახლა თქვენ, ყველა ციციანი, ნათესავად არ მიაჩნხართ და გარდა ამისა, რომ მიაჩნდეთ კიდევაც, მახლობელ ნათესავად, ნუ თუ გგონია, დედოფალო, რომ შენი დაჟინების აღსრულების ნებას მოგცემს და დაემორჩილება შენს სიმშვენიერეს?

მარიამ. (შრისხანედ) ეგ შეურაცყოფაა ჩემი! მაგას როგორ მიხედავ! შენ ხელი არა გაქვს ჩემს სიმშვენიერესთან და არც არა ვის სხვას!

ოთარ. შეურაცყოფა კი არა, დედოფალო, ქეშმარიტი მოხსენებაა! ჰო, სწორედ, იმედი გქონდეს, რომ რუსთა იმპერატორის რწმუნებული კაცი, ამ ქვეყნის მთავარ-მართებელი, გაიხსენებს შენს ღვთიურს სიმშვენიერეს, ისკუბებს თავის ალაგიდან და აქ გადმოსკუბდება შენთან და დასტკება შენის ცქერით!

მარიამ. ოთარ! ენა დამოკლე, შე ბრიყვო და უზრდელო, შენ გავიწყდება მე ვინცა ვარ!

ოთარ. რას უბრძანებ მერე, მთავარ-მართებელს?

მარიამ. ეს შენი საქმე არ არის, რასაც უბრძანებ, მერე გაიგებ!

VII

ივინავე და ბაგრატი.

ბაგრატი. ყველაფერი შეიტყეს! ახლავე აქ გაჩნდება ღენერალი ლაზარევი.

მარიამ. გაჩნდება და დაუხვდებით როგორც ეკუთვნის!

მუხნათუნ. (ფანჯარაში იუფრება) აი, მოვიდა კიდევ და კიდევ ორი რუსი!

მარიამ. ბაგრატი! ოთარ! წადით, წინ დაუხვდით და სასტუმრო ოთახში მიიწვიეთ, აქ ხომ ვერ დივიდებ, ჩემ საწოლ ოთახში! (ოთარ და ბაგრატი საჩქაროდ გაუქვენ)

ლაზარევის ხმა. (კუდიისებში) დედოფ-

ლის ნახვა მინდა! გთხოვთ კარი გამიღოთ! (შეიღება მზესკათუნის კეფრიან და შეფთავენ)

ბაგრატის ხმა. (კულისებში) დედოფალი ჯერ ჩაუცმელია, გთხოვთ ცოტას შეიცადოთ.

ლაზარევის ხმა. (იქვე) ნუ მიშლით შესვლას იქ, სადაც მე მსურს!.. გიბრძანებთ, ახლავე გამიღოთ კარები!

VII

ივინევე, **ლაზარევი, სუროკოვი, ერთი რუსის აფიცერი, ოთარი და ბაგრატი.**

მარიამ. (შეშფოთებულია, კარები ძალით გაიღება) ღმერთო ჩემო! აქ უყურეთ! ძალით შემოდის ჩემს საწოლში!

ლაზარევი. (შეშფოთებულია) ბოდიშს ვინდი, თქვენო უღიდებულესობავ, რომ ძალა ვინმარე და დაუკითხავათ ვიახელით თქვენს საწოლში. ესენი არ მიშვებდნენ და მეც იძულებულს გავხდი სასტიკად მოექცეულიყავი... სახელმწიფო დიადი საქმეა...

მარიამ. (შკაჯრად) თუ არ გიშვებდნენ, ღენერალო, ალიაქოთის ატეხა კარებს უკან რაღა საქირო იყო და ძალით შემოვარდნა უმწყო დედაკაცთან, იმის საწოლს ოთახში...

ლაზარევი. კიდევ გთხოვთ ბოდიშს, დედოფალო, მაპატიეთ ამ საქციელისთვის. მოგახსენეთ, რომ სახელმწიფო დიადი საქმე გავლავს და მეც იძულებულს...

მარიამ. თქვენთვის იქნება დიადი იყოს და არა ჩემთვის! ჩაუცმელი ვარ და გთხოვთ, ბატონო, სასტუმრო ოთახში შეიცადოთ, მანამდე მე ტანთ ჩავიცვამდე!

ლაზარევი. თქვენს საწოლში თუ უკვე ორი ვაჟკაცი გახლავან, მესამესაც შეუძლიან აქ ყოფნა! თქვენ ნება არა გაქვთ აქედან დამითხოვოთ, როცა შემოვედი კიდევ!

მარიამ. მგონია, მაქვს სრული ნება ჩემ სახლში მოვიქცე ისე, როგორცა მსურს! გთხოვთ, გაბრძანდით, მე ჩაუცმელი ვარ!

ლაზარევი. თქვენ მართალი ბძანდებით, დედოფალო, მაგრამ ამ შემთხვევაში კი არა!

მარიამ. რა გინდათ ჩემგან, რომ საშინი აქ შემოვარდით?

ლაზარევი. ნება მიბოძეთ, დედოფალო, ჩამოვჯდე, ისე დავიღალე, რომ ფეხზე ძლივს-ლა ვლდევარ!

მარიამ. რაკი არ გადინხართ აქედან, დაბძანდით, ვინ გიშლისთ, აი ტახტი!

ლაზარევი. (ჩამოჯდება ტახტზე, მარამის ზირდაზირ. სუროკოვი და აფიცერი, შემოვლენ თუ არა, კარებთან გაჩერდებიან.) მთავარ-მართებელმა გაახლათ ჩემი თავი. მაშა თქვენი ეს არის შეიპყრეს. ყველაფერი მოახსენა თავადს ციციანოვს, რომ გაპარვას გიმზადებდათ...

მარიამ. ახ!.. ახ!..

ლაზარევი. მე დამავალეს, შემოგთავაზოთ, ახლავე, დაუყონებლივ, წამობძანდეთ ჩემთან! (მარამი შეფთავს) დამშვიდდით, ბატონო, დამშვიდდით და ყური მიგდეთ, კეთილს რჩევას მოგართმევთ! საქმე რომ არ გაძნელდეს და სხვა და სხვა წინააღმდეგობით არ დაიხლართოს, ღმერთს გეფიცებით, დედოფალო, სჯობიან, რომ დამოორჩილოთ აუცილებელს საქიროებას. ხალხი შეფთავს, რომ თქვენ შვილებით ჯერ ისევ აქა ბძანდებით, მაშინ, როცა სხვა ყველა ბატონიშვილები. ვინც არიან, იმპერატორის სურვილით გასულნი არიან აქედგან და რუსეთში იმყოფებიან. ხალხი და თავად-აზნაურობა თხოულობს ან ყველა იმათ დაბრუნებას, ანუ თქვენს მოცილებას აქედგან, რადგანაც თქვენ მრავალი მომხრეები გყავთ, რომელნიც მთავრობას არ ემორჩილებიან და წინააღმდეგობენ. მთავარ-მართებელმა ამაზედ პეტერბურლს აცნობა და იქიდან მოუვიდა იმპერატორის ბძანება, რომ თქვენი წასვლა აქედან დიდათ საქირო არის... თქვენდა საკეთილდღეოთ მთავარ-მართებელმა დამაბარა, ამაზედ გულახსნით მოგესაუბროთ და გირჩიოთ რომ...

მარიამ. მირჩიოა?! მუქართა და ძალით ხომ არ აპირებთ იმოქმედოთ, რომ შემოვარდით ჩემთან, როცა არ გიშვებდნენ?

ლაზარევი. ნუ ჯავრობთ, დედოფალო, ნუ ხართ ჯიუტი და ურჩი! თქვენ კარგათ იცით, რომ ყოველს ურჩობაზედ, ძალაც შეიძლება ვიხმაროთ!

მარიამ. როგორა?!.. ძალა?!.. თქვენგან გასაკვირალიც არ იქნება, რომ ისე გაკადნიერდეთ და ჩემზე თავხედი ძალა იხმაროთ!

ლაზარევი. ეგ შემთხვევაზედა ჰკილია, ბატონო!

მარიამ. ღმერთო, დიდებულო! ეს რა არის ჩემს თავს?!

ლაზარევი. მერწმუნეთ, რომ სიკეთის მეტი თქვენთვის არა მინდა რა! გულ-ახლით მოგახსენებთ, რომ მთავარ-მართებელი თქვენის უჯათობით მეტად გაწყურება და მაშინ...

მარიამ. იმისი წყრომისა არ მეშინიან! მიბრძანდითა და ასე მოახსენეთ!

ლაზარევი. ვიმეორებ, ბატონო, მე დავალებული მაქვს, დაუყოვნებლივ წაგიყვანოთ აქედან...

მარიამი. სად უნდა წამიყვანოთ!.. სადა..

ლაზარევი. რუსეთს! პერეკლანდია—ტროიკა თქვენთვის მზად არის...

მარიამ. ღმერთო! ღმერთო ჩემო! პერეკლანდია—ტროიკა ჩემთვის... დედოფლისათვის... დედაკაცისათვის... და... იწამეთ ღმერთი...

ლაზარევი. მალე, მალე, დედოფალო, დაჩქარდით, დაჩქარდით!..

მარიამ. აქედან ჩემის ნებითვე ფეხსაც არსად გავსდგამი.. და თუ თქვენ ძალგიძთ, აბა მახლეთ ხელი!..

ლაზარევი. კარგი, ბატონო, კარგი! თქვენი ნებაა! აგრე მოგახსენებ მთავარ-მართებელს! (სახქარათ წამოდგება, მივა სურთკაფთან, წასწურწულებს და გაფა კარებსში. საჩქაროთვე, მარამის ნიშანზე გაჭეუებიან ბაგრატი და ოთარს.)

სუროკოვი. (აფიცურს) დაჰხედე ერთი ამას, რა უჯათი დედოფალი ყოფილა! (მარამს) მთავრობას რატომ არ ემორჩილები, დედაკაცო!

მარიამ. ამას უყურეთ, ერთი! შენ ვინდა ხარ, რომ ჰბედავ ჩემთან სიტყვის ამოღებას, ბრიყვო და უზრდელო! გაეთრიე აქედან!

სუროკოვი. ოჰ, ოჰ, ოჰ! კარგია, ერთი! დანებე მე კილოს თავი! აღექი, აღექი ახლავე და წამოდი, თორემ ჩამოგადგებ მეტატინდანი! (ამას რომ იტყვას, სწრაფად მივა მარამთან. ამ დროს წამოცვივლებიან თამარ და ჯიბრაილი, ხაღინიდან ამოაძრებენ ხანჯლებს და ეცემიან სურთკაფს და აფიცურს. ასტუდება დიდი ხმაურობა)

ჯიბრაილი. მე შენ გაჩვენებ სერიუს!

თამარ. ჰაი, შე საზიზლარო!

სუროკოვი. (უგინის) ვაი, გვიშველეთ, ჩქარა, ჩქარა, აქ ლალატია!

აფიცური. ჩქარა გვიშველეთ!!

IX

იგინიყე, **ლაზარევი**, **ბაგრატი** და **ოთარი** (შემოცვივლებიან)

ლაზარევი. რა იყო, რა ამბავია?

ოთარ. თამარ! ჯიბო! გაჩერდით! რასა შვრებით! (დაიჭერს თამარს)

ბაგრატი. (დაიჭერს ჯიბრაილს) გააგდე ხანჯლები!

ლაზარევი. ეს რა ამბავია?! ხანჯლების ტრიალი!! ამათი სიკვდილი გინდოდათ?!

ბაგრატი. ბატონო, ეს ბავშვებია! ყურადღებას ნუ მიაქცევთ!..

ლაზარევი. ჰო?! კარგი ბავშვები ყოფილან, რომ იარალსა ხმარობენ! (მარამს) ნულარ აგვიანებთ! ახლა კი მე თქვენ თავს არ დავანებებთ!

მარიამ. ხელი არ მახლო!..

ლაზარევი. ა, ა, ა!.. თუ აგრეა,—მაშ აი რას ვიზამ! (მივარდება მარამს, სტატებს მარცხენა მკლავში და ტანტიდან ძირს ჩამოათრევს. მარამი ძირს დაეცემა, სწრაფად წამოსტება, მივარდება ისევ ტანტს, მუთაქის ქვეშიდან გამოაძრებს ხანჯალს, უბნად ეცემა ლაზარევის და შიგ გულში ჩაჭკრავს. ლაზარევი დაზარალებულად, შეჭკვილებს: უვაი, მომკვდა! მინების კარებისაკენ და სცენის შუა გულზედ უგრძობლად დაეცემა გულადმა.)

მარიამ. აგრე გინდა, შე საზიზლარო!

სუროკოვი. (მივარდება კარებს და გაჭეუობის) ჩქარა დარაჯი! დარაჯი!

ოთარ. (მარამს) ეგ რა ჰქენი?.. რა ჰქენი?!

მარიამ. (შედიდურად) ჩემი პატიოსნების დასაცველად, ჩემი შვილებისა და სამეფოსათვის — შური ვიძიე! ჯავრი ამოვიყარე! (დაიხრქებს სადოცველად. შემოდინ რუსის ათი სალდათი და აქეთ-აქით განკრდებიან. მხეხათუნიც დაიხრქებს სადოცველად. თამარი და ჯიბრაილი უჭირავთ ოთარს და ბაგრატს)

(გ ა რ დ ა)

კ. ყიფიანი

მურის მიუბა

(სვანთა წახსულ ცხოვრებიდან)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 2)

მეორე დღეს გათენებამდი გამოესალმა მტირალ დედას თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი ნარსავი და ყანსავითურ გასწია თავის მტრების სოფლისაკენ, რომელიც რამოდენიმე ვერსზე იყო მათ სოფლიდან დაშორებული. იგინი ჩაესაფრენ ტყეში მოპირდაპირეთა სახლის ახლოს და ელოდენ მსხვერპლს. დიდხანს ვერავეს მოჰკრეს თვალი. ამასობაში ამოვიდა მზეც უქმე დღე იყო და ჯერ ბავშვების ხმაურობის მეტი, რომლებიც საქონელს მიერეკებოდენ სამწყისავათ, არა ისმოდა რა. ბოლოს. როდესაც მზე უკვე დიდი ხნის ამოსული იყო და სოფლის ახალგაზდობა მოედანზე გამოიშალა დროს გასატარებლად, როგორც იქნა, ნარსავმა თვალი მოჰკრა თავის მტრის სახლის დერეფანზე ორ კაცს, რომლებიც მაშინათვე იცნო მას სახეზე ცივმა ოფლმა გადასხა და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

— ყანსავ! შეხედე დერეფანზე ბექის და თაისავს, პირველი ჩვენი მტრები ეგენი არიან, პირველად ამათ გაუხვრეტს ჩვენი ტყვია გულღვიძლს. შენ თაისავს დაუმიზნე ოფი, ხოლო მე ბექის და არ ავაცდინოთ, თორემ დრო ტყუილად დაგვეკარგება...

— შენ ჯავრი ნუ გაქვს, სხვიმ ს არ ამიკდენია ნიშნისთვის ტყვია და ნუ თუ ახლა კოშკის ოდენა ვაჟკაცს ავაცდენ?

მათ მოიმარჯვეს თოფები, ხის შტოებზე გადასდეს და მიზანში ამოიღეს. რამოდენიმე წუთის შემდგომ იგრი ლა თოფებმა და ნიშანში ამღებელი ორი ვაჟკაცი დერეფანზე გაერთხა. საშინელი კივილი და კიჟინა ატყდა. მთელი სოფელი იარალით აღიქურვა და თავგამოდებით გამოვიდა გარეთ.

— არიქა მტერი დავვეცა, ძმები მოჰკლეს! გაისმა ხმა.

— აბა, ბიჭებო დავედევნეთ, არ გაუშვოთ, გზები შეუკარით!.. ისმოდა ყვირილი და თან გარბოდენ იმ ტყისკენ, საიდანაც თაისავი და მისი ძმა მოჰკლეს. თან ტყვიას სეტყვასავით აყრიდენ ტყეს.

ნარსავმა და ყანსავმა გაქცევა არ იკადრეს, ჩაესაფრენ ერთ ალაგას და თავის მხრითაც თოფის სროლითვე უპასუხებდენ. სოფლებლები ჯგუფ-ჯგუფად გაიყვენ, ზოგი ერთის მხრით წავიდა, ზოგი მეორეს მხრით, ზოგთ ზევიდან მოუარეს და შუაში გააომწყვდიეს. მეგობრებმა იგრძნეს, რომ საქმე ცუდათ წაუვიდათ და სახელოვან სიკვდილი! მეტი არაფერი დარჩენოდათ.

— მაშ თუ ასეა საქმე, მე გიჩვენებთ, როგორ უნდა სიკვდილი!— წამოიძახა ნარსავმა. გადააგლო თოფი გვერდზე და ხანჯალ-ამოღებული დაეჯახა მოპირდაპირე ბრბოს. მასვე მიჰყვა ყანსავიც, რომელიც მტრის ტყვიით განგმირული იქვე უსულოდ დაეცა. ამ სურათმა უარესად გააბრაზა ნარსავი, იგი საშინელის რისხვით დაეჯახა მტრებს და ორი გულ-გაპობილი დაუშვა ძირს, მაგრამ ამ დროს ბექებში ტარამდი ჩაესო ვილაცის ხანჯალი და მუხლებზე დაეცა. სისხლმა საშინლად ამოასხა ჭრილობიდან და გრძობა დაკარგული ნარსავი დაეცა მიწაზე. მთელი ბრბო მისცივიდა მას და უნდოდა ჩაეკოლა, მაგრამ ამ დროს მას წინ გადუდგა ერთი მოხუცი და მგრავინვარედ შესძახა:

— შესდევით, ხელი არ ახლოთ! მაგას, თუ ცოცხალია, სხვანარი სიკვდილი ელის. იგი მივიდა ნარსავთან, ზიზლით აიღო მისი ხელი და გაუსინჯა მაჯა.

— ცოცხალია! წამოიძახა მან: მოკიდეთ ფეხებში ხელი და შეათრით ჩვენს კოშკში, ჩაუკეტეთ კარები და იქ ამყოფეთ დრომდე.

— მაშინათვე მისცივიდა რამოდენიმე ახალგაზდა ბიჭი, მოჰკიდეს ხელი და დანიშნულ ალაგზე მიათრის. მთლად სისხლისგან დაცლილი ნარსავი, როგორც იყო, მოვიდა გონს, მაგრამ რადგან თვის გარშემო სიბნელის მეტი ვერა დაინახარა, ცოცხალ-მკვდარმა ისევ უგრძობლად მიხუჭა თვალები.

(დასასრული იქნება)

ამ. პირველი

პროფესორ-ლექტორი

ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკული, პირველ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, სახელმწიფოებრივ-უფლებრივ კითხვათა დიდი მკოდნე, კვირა—ორშაბათს, იანვრის 17—18 თბილისში „არტ. საზ-ის დარბაზში“ წაიკითხავს ორ ლექციას: 1, „გერმანიის ომი და რუსეთის როლი ამ ომში“ (შემოსავლის ნაწილი ტატიანეს საზ-ის სასარგებლოდ) და 2, „რუსეთი და მისი ხალხი“ (შემოსავლის ნაწილი გადაიდება ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ის სასარგებლოდ) იგივე ლექტორი ქუთაისში ამ ორივე ლექციას წაიკითხავს 19—20 იან. ორივე ლექციის შემოსავლის ნაწილი გადაცემა ქუთაისის „სინათლე“ ს საზ-ას. ნ. ა. გრედესკული, სხვათა შორის, არჩეულია ქ. შ. წ. კ. ს-ის საპატიო წევრად.

საამდროო საუბარი

(ყურმკრული, სტენოგრაფიულად ჩაწერილი)

— ა. გამარჯობა, ი. Семеничъ!

— Здравствуй, братъ.

— როგორ ხარ, товарищъ?

— ასე, полумертвый, რომ იტყვიან:

ხან მაძლარი, ხან მშვიერი,

ხან მთვრალი და ხან ფიზელი.

— ნუ, братъ, и рифмачъ, როგორ კარგად მიაწყვე! გეტყობა ბევრი დრო გაქვს და მაცადინობ; вѣрно, да?

— რა თქმა უნდა, конечно у Б—дзე и Г—ия. ბიჭო, იცი, что я тебѣ скажу, წუხელის имѣль, „понимаешъ“, только ათი შაური და и этимъ კარგი 25 руб. მოვიგე.

— მაშ თუ сегодня მაძლარი будешъ.

— Сегодня да, но ხვალ კი не могу сказать, ну да ხვალ правда ჯამაგირი братъ, კარგი, ნარდი და მისი ჯანი.

— კარგი, ნარდი და твое жалованье ტრულაღა, დამრჩები безъ..

— Безъ ჯამაგირი? მესმის... я это знаю, но რას იზამ, когда კაცს სევდა „მუჩიტ“. Какъ я ошибся, რისთვის поступилъ

въ телеграфъ тогда, какъ илге სხვა служба, ფულეზზე и не думаютъ, ყველა მაძლარია. კაცო въ день 25 მანეთი არაფერია და и больше ხანდისხან.

— Но совѣсть იობტურ, братъ.

— სინილისი есть да ჯიბეში კი იობტურ. სელოს-ძმა



ქუთაისის თეატრში ვ. გუნიას ვასტროლმა („მეფე ლირი“ 6/I) დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. 9/I წარმოდგენილ იქმნა „ბედის ტრაილი“. ორიგინალურად დადგმული. ხალხს მოეწონა. ვ. აბაშიძე ავადმყოფობისა გამო საგასტროლოდ ვეღარ ეწვია. ელო ანდრონიკაშვილი ავად გახდა.

სახალხო სახლში კვირას, 10/I წრემ, კ. შათირაშვილის რეჟისორობით წარმოდგინა შილლერის „ყაჩაღები“. კარლოს ასრულებდა ალ. იმედაშვილი, მაქსიმელიანეს—ვ. გამყრელიძე, პატერს—ნ. გოცორიძე, ფრანკს—ა. შანშიაშვილი, ამლიას—ანკარა, შვიგელბერგს—რომანიშვილი. საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა, საუცხოვო იყო წყალვარდნილა. ალ. იმედაშვილმა უზომო აღტაცება გამოიწვია, ალ. შანშიაშვილი შიგა და შიგ მოუხომებურებდა, ერთ სცენაში (ამლიასთან) კინაღამ გააკომიკურა როლი. აუარებელი მდბიო ხალხი დაესწრო, ბევრი თითქმის პირველად. დეკორაციების (კედლების) წარამარა რხევა შთაბეჭდილებას აქარწყლებდა. საქირთა დაკვირვებით მოპყრობა.

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დარბაზში 30/XII—15 წ. გაიმართა ქართულ-რუსული „სალამო-მეჯლისი“ ქუთაისის ღარიბ ჯარის-კაცთა ცოლშვილის საჩუქრებისთვის, სალამოში მხოლოდ ჯარის-კაცი იღებდნენ მონაწილეობას: მსახიობი—ჯარის-კაცი პ. ფრანგიშვილი, რუს. ოპ. მომღერალი—ჯარის-კაცი ტურენკო და ვრასოვი. ხალხი კმაყოფილი დარჩა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პ. ფრანგიშვილმა, რომელმაც იმდერა ქართული რამანესები განსაკუთრებით მოეწონათ მისი „ურმული“. ხალხი მსახიობს ტაშის კვრით მიეგება და ყვავილები მიართვა. აგრეთვე ძლიერ კარგად იმდერა—ტურენკომ. შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. ხალხი მეტად ნასიამოვნები დაიშალა. დაესწრო ქუთ. გუბერნატორიც.

პ. ფრანგიშვილისავე მონაწილეობით 3 იან. საავადმყოფოში გაიმართა სალამო დაქრილ ჯარის-კაცთათვის. პ. ფრანგიშვილმა დაქრილ ჯარის-კაცთ უმდერა ქართული სიმღერები და წაუკითხა ლექსები,

რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადეს. აგრეთვე ბ. ტურენკომ და ერასოვმა იმდერეს რუსულად. საღამოს მრავალი აზოგადობა დაესწრო. ბენისელი

ბაქოს დრამ. წარმ. კვირას, 3/1 წარმოდგინა:

1) „სიძე სიმამრი“, კომ. ვ. გუნასი და 2) „ხოსიას ღელე“, 1 მოქ. ვოდ. ბ. ზარდალიშვილი ასრულებდა გიორგის როლს და თავიდან ბოლომდის დაიცვა ამ ტიპის მთლიანობა. ბ. აწყურელი კარგი იყო რუჟიანის როლში, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ალაგ-ალაგ მეტი სიკარპე გამოეჩინა, რაც გენერალ რუჟიანის თვისებას შეადგენს. კარგად შეასრულა ბ. მატარაძემ საყვარელიძის როლი. ამ გამოცდილმა და ნიჭიერმა სცენის მოყვარემ, რომელიც ზოგიერთ როლს მართლაც მოხდენით ასრულებს, კარგი იქნება სიტყვები შეაფიოდ გამოთქვას და როლიც კარგად ისწავლოს ხოლმე. ჩვეულებრივი სიცოცხლით თამაშობდნენ ქ-ნი ქილარჯიშვილი (ქეთო) და შოთაძე (კატო), დასასრულ „ხოსიას ღელეში“ ი. ზარდალიშვილმა (ქოტე) თავისი მოხდენილი თამაშით ბევრი აცინა საზოგადოება.

ქ. შ. ამ მოკლე ხანში გაიმართება ქ-ნი ქილარჯიშვილი ბენეფისი. იმედია ბაქოს ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით შეხედება ამ ახალგაზრდა მახიობ ქალის ბენეფისს. ქ-ნი ქილარჯიშვილმა ჩვენს დარბ სცენაზე მიმდინარე სეზონში თავისი დაკვირვებული და გრძნობიერი თამაშით დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება და იგი შესაფერი პატივის ღირსია სან-ქან

რუსეთის მგონის ვ. ა. ბრიუსოვის ლექციამ

„სომეხთა პოეზიის შესახებ“ „არტ. საზ. დარ-ში“ 13/1 დიდძალი სომეხობა მიიზიდა. ლექტორმა დალაგებით განიხილა სომეხთა პოეზია, ქრისტ. დაბადების წინა დროიდან დღევანდლამდე, და ბევრი ისეთი რამ გამოაშკარავა, რაც თვით სომეხთათვისაც უცნობი ყოფილა. დამსწრეთ შიგა და შიგ წაუკითხა რუსულად თარგმნილი ლექსები სომეხთა ხალხური თუ სხვადასხვა მგოსანთა. სომეხთა პოეზია დიდის ქებით მოიხსენია. დამსწრე საზოგადოებას ლექცია იოფონა. შემდეგ გაიმართა საზეიმო ნადიმი, ა. ი. ხატისოვის ტრალუმბაშობით. ნადიმს ზოგიერთი ქართველი მოღვაწენიც დაესწრნ. ბევრი საგულისხმლა სიტყვა ითქვა. ქართველთაგან სიტყვები წარმოსთქვენ გრ. დიასამიძემ, გრ. რობაქიძემ და ილ. ნაკაშიძემ. საზოგადოების ოხვნით ა. ი. ყანჩელმა წაიკითხა ბალმონტის მიერ თარგ. „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები. როგორც ვაღმოგვეც, ვ. ბრიუსოვს განუზრახავს ქართველთა პოეზიაც შეისწავლოს — სასურველია, ქართველ-სომეხთა შორისაც გამოჩნდებოდეს ისეთი ვინმე, რომელიც ჩვენი — მებობლების მიწვინობობას გაგვაცნობს.

ს. ზრამაში (კახეთი) 3/1 ადგილობრივ ქართული სკოლის შენობაში შრომა-ლაგოდების სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა: „ღელა და შვი-

ლი“, „კოლქმრობის წინააღმდეგ“ და „ორი მშვიერი“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა, სამწუხაროდ, ბევრი დაბრუნდა შინ გულდაწყვეტილი უადგილობის გამო. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ გლეხობას შეჰყვარებია წარმოდგენა: წარმოდგენის გათავების შემდეგ ბევრი ჰკითხულობდა — კიდევ როდის გაიმართება წარმოდგენა... საჭიროა შრომა-ლაგოდების სცენის მოყვარეებმა გაუწიონ ანგარიში ხალხის სურვილს და ხშირად მართონ წარმოდგენები, მხოლოდ დიდი სიფრთხილვა საჭირო დასადგმელ პიესების ამორჩევის დროს... გრი-გრი

ფოთის თეატრი. ჩვენში სათეატრო ხელოვნებაში არა მარტო ქალაქებში, დაბა-სოფლებშიაც კი საკმაოდ მოიღვა ფეხი. ბევრ დაბაში არსებობს დრამატ. წრე, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს (მაგ. ხაშურში, კიათურაში, ლანჩხუთში და სხ.). ამ მხრით ქ. ფოთს ზოგიერთ დაბასაც ვერ ამოვეყენებთ. მართალია, აქ არსებობს ე. წ. „მუსიკალურ-დრამატ. საზოგადოება“, მაგრამ მის არსებობას ფოთელები ვერ გრძნობენ ნახევარ წელზე მეტა ამ საზ-ბას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგავს წინ და ქუთათური დასი „ქართული დრამა“ რომ არ გვეტუმრებოდეს ორჯელ (დადგა ოთხი პიესა: „ღალატი“, „სამშობლო“, „მადამ სან-ჟენ“ და „ღღენი ჩვენი ცხოვრებისა“), წელს წარმოდგენას ვერ ვიხილავდით. ფოთის საზოგადოებას რომ წარმოდგენის ნახვა სწყურია, ეს იქიდან სჩანს, რომ წარმოდგენის დროს სათეატრო დარბაზი ყოველთვის გაქვდილია დამსწრეებით.

22 ქრისტეშ „მუს.-დრამატ. საზოგ-ბამ“ ნ. შიუკაშვილის დრამა — „მეგობრობა“ დასდგა, მსახიობ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით. თამაშის მთელი სიმძიმე ბ. ჩარკვიანს და ადგილობრივ-სცენის მოყვარე ქალს ნ. ნარაკიძის ასულს აწვთა.

ბ. კ. ვაშლიანიძე (ბიქტორი) თითქმის ეძლია თვისი როლი. ტ. ჭანტურაიას არ ეშვასამება სარდიონისებური როლები და მის მიერ განსახიერებული სარდიონიც ფერმკრთალი იყო. დანარჩენ მოთამაშებზე დუმილი სჯობს. ანტრაქტები თვით მოქმედებებზე ხანგრძლივი იყო, რისთვისაც წარმოდგენა ორ საათზე გათავდა. საზოგადოება მეტად უმეცყოფილო დაიშალა. იმედია ხსენებული დრამ. საზ-ბის გამგეობა აწ მაინც არ დასჯის მაცურებელ საზოგადოებას პიესის ასე და მახინჯებით და სასცენო ხელოვნებას უფრო ყურადღებით მოეპყრობა, ა. ფანცკლი

ქართული კონცერტები მ. კავსადის ლობზარობით გაიმართება ამ მოკლე ხანში თბილისს სახალხო სახლში, ავლაბრის, ნაძალადევისა და სხ. აუდიტორიებში. აგრედვე მოლაპარაკება აქვს ქართულ კლუბთან. როგორც გვითხრეს, უკვე შეერთებულან ქართველ მუშათა და მ. კავსადის გუნდები. გუნდში 50 კაცი მაინც იქნება, ქულაჯებსა და ჩერქეზულში — გამო-

წყობილი. პროგრამაში ახალი სიმღერებიც იქნება, სხვათა შორის „თამარ ქალა—ქეცენის თვალა“, „მოჯამაგირის სიმღერა“ და სხ.

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

◆ **მგოს გ. ძუჩიშვილი** ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ს თაოსნობით დღეს „ახალი კლუბის“ დარბაზში წაიკითხავს თავის ახალ ორიგინალურ პოემას „ნადრევე ვარსკლავს“.

◆ **ქართ. ღრამ. დასმა 13/I** სახ. სახლში წარმოადგინა ახალი პიესა „იულის მემკვიდრე“, საზოგადოება მრავლად დაესწრო

◆ **ქართ. კულტ. კავშირის** წარმომადგენელთა პირველი კრება შესდგა 14 იანვარს.

◆ **ახალი პიესა—4** მოქ. კომედია დასწერა (უცხოურის მიბაძვით) ვანო ბარველმა. შინაარსი ჩვენი ისტორიიდანაა აღებული. პიესაში გამოყვანილია, სხვათა შორის, ვრეკლე მეფის კანცლერი სოლომონ ლეონიძე.

◆ **ქართ. კულტ. კავშირში** ქართ. ღრამ. საზ-ბამ წარმომადგენლებად აირჩია თავ. ნ. დ. ერისთავი, შ. ვ. მესხიშვილი და ვ. ლ. გუნია; ქუთაისის ღრამ. საზ-ბამ—ა. მ. კრინიციკი, ა. ნ. ფაღავა და ს. დ. კილაძე; თბ. სახალხო სახლს წრემ—ნ. ელიავა, გ. ცინცაძე და

◆ **გორის წ. კ. ს. განყოფილებასთან** ნ. შაუკაშვილის მესადინეობით შესდგა მუდმივი ღრამ წრე, რეჟისორად—ღრამ. ნ. შიუკაშვილი, თანაშემწედ დავ. ამირჯიბი, ხელსაწყობთა მეთვალყურედ—ე. ხუციშვილი. ახლო ხანში წარმოადგენენ ი. გედევანიშვილის „გამკეშს“.

◆ **ქუთაისის ღრამ. საზ-ბამ** შესცვალა წესდების ზოგიერთი მუხლი: 1) საწევრო გადასახადი 1 მ-დე დასწია, 2) გამგეობის წევრობის ვადა—3 წ-დე განსაზღვრა.

◆ **ივ. ვარტაგავა** ქართ. კულტ მოყვ. საზ-ის თაოსნობით ოთხშაბათს. 20/I, წაიკითხავს თავის კრიტიკულ განხილვას „სოფელი და სოფელები სოფ. მგალობლიშვილის ნაწარმოებში“.

◆ **გონივრით განსაკრებლად** მოწყობის შესახებ ქუთაისში, ლექტორმა ალ. გარსევანაშვილმა დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა ქუთაისის სამოსწავლო კომისიას და მათ მოსაწყობად საჭირო თანხის გადადება გამოსთხოვა.

◆ **ქუთაისის თეატრის** სადამშენებლო თათბირი ამ მოკლე ხანში შესდგება.

◆ **თბ. თაგ.-აზ. საკრებულომ 10/I** თავ. კ. ნ. აფხაზ-ს თავმჯდომარეობით ქართ. ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულებათ გაუნაწილა საგანგებო თანხა. სხვათა შორის, ქართ. მოღ. აგარაკისათვის 300 მ. გადასლა.

◆ **მუსულმანთა აუდიტორიაში 10/I** „არსენა“-ს წარმოდგენის დროს, არსენას როლის აღმასრულებელმა ყანაველმა ხანჯლის უზერხულად მოქნევის დროს დასტრა მოურავის როლის აღმასრულებელი გულისაშვილი

◆ **„თეატრი და ცხომება“** თავისი ხარჯით გაუწერეს: 1) შალვა ნიკოლაიშვილმა—ბელაგორის სამკითხველს; 2) ელ. სალარიძემ—ბეკამისას; 3) გ. ახალბედაშვილმა—მეჯერისხევისას და 4) გ. ჩიტაშვილმა—საბუეს არჩ. ჯორჯაძის სახ. სამკითხველს.

◆ **ხელის მომწართა** საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჟურნალის ფული პირდაპირ რედაქციაში უნდა შემოიტანონ ანუ ფოსტით გამოგზავნონ (Тифл. ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили); ვისაც ჟურნალი არ მიუვიდეს, დროით გვაცნობოს

◆ **შრომის „ვაჟა-ფშაველას“** სამკითხველს გამგეთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ გ. ჩხვიანიძეს არ უთხოვია მისი გვარი გამოგვეცხადებინა. არამედ რედაქციამ თვისით გამოაცხადა. რედაქცია ყოველთვის აღნიშნავს, როგორც მისაბამ მაგალითს, ყველა იმთ სახელს, რომლებიც ჩვენი ერის კულტურულ წინსვლას ხელს შეუწყობენ და სხვათა შორის ღირბ სამკითხველოებს ჟურნალ-გაზეთებს გაუწერენ.

◆ **სახალხო სახლში** კვირას 24 იან., დღის 1 ს. ბ. ბეგვარიძე გამართავს სინტერეს-საღიტრესტურთ დილას ლექციითურთ 1) ლექცია—ვაჟა-ფშაველა და მისი შოეზია, დ. კასრძისას; 2) წარმოდ. „გეგურქადა და შანტაჟისტებია; 3) ლექსები, სტენები და შარჟი—პ. დ. ეიფიანის, ს. მგალობლიშვილის, ალ. იმედაშვილის, გ. იშხელიის, დ. მგალობლიშვილის, მ. ჭიაურელიის, რ. ჯობაძის, ი. დაროშვილის და სხ. მონაწილეებით.

◆ **„ახალი კლუბში“** ნინობა სდამოს 14/I ქართ. ღრამ. დასმა წარმოადგინა „აღია-ქეთი კეთილშობილთა ღჯანში“. მისხიობნი შეთანხმებით თამაშობდენ, საზოგადოებატ ბლამად დაესწრო, მკრამ .. ურიტო არ იქნება, თუ საზოგადოებას უფრო შინაარსიან შიესებით გაუმსხინიძლდებიან.

◆ **შემდეგ ნომერში** დაიბეჭდება ივ. კომარტელის შოთხრობა.

◆ **ტაშკენტში** მცხოვრებ ქართველთა შვიდეპისათვის გ. სვეჯარელიძე ქართულ სკოლასს ხსნის. ნებათოვა უკვე ადებუღია. საჭიროა ნიეთიეკი შემწეობა.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

20-й г. изд. **ОТКРЫТА ПОДПИСКА** на 1916 годъ. 20-й г. изд.

НА

Театръ и Искусство.

52 номера еженед. иллюстр. журнала, 12 ежем. книгъ Библиотеки, до 40 репертуар. пьесъ. Отдѣль „Эстрада“, заключающій номера для чтенія со сцены, дивертисментовъ и концертовъ. Въ распоряженіи редакціи имѣются слѣдующія пьесы: С. А. Пайденевъ—„Работница“, ком. въ 4 д.; Л. Урванцовъ—„Вѣра Мирцева“, пьеса въ 4 д.; С. Шиманскій—„Кровь“, драма въ 4 д.; Ш. Ашъ—„Польскіе евреи“, пьеса въ 4 д.; П. П. Гнѣдичъ—„Уходящіе боги“, пьеса 4 д.; Д. Айзманъ—„Лѣтній романъ“, пьеса въ 4 д.; С. Ауслендеръ—„Хрупкая чаша“, пьеса въ 5 д.; А. Вознесенскій—„Ангриса Ларина“, пьеса въ 5 д. и мн. др.

Въ виду вздорожанія бумаги подписная цѣна увеличена на 1 рубль.

Подписная цѣна на годъ 9 руб.
Разсрочка при подл. 4 р. къ 1 апрѣля—3 р.,
къ 1 июня—2 р. За границу 14 руб.

На полгода (съ 1-го января) 5 руб. За границу 8 руб.

На мѣсяць безъ приложений—65 коп.

Гл. контора: Петроградъ, Вознесенскій пр., д. 4. Тел. 16—69.

Подпис. цѣна:
годъ 7 р. — к
1/2 г. 3 „ 50
3 м. 1 „ 75
1 м. — „ 60
За граи. вдвое
Допускается
разсрочка.

VIII г. изд. на 1916 годъ VIII г. изд.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

Подъ редакціей **„РАМП И ЖИЗНЬ“** Л. Г. Муна и (Lolo).

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись.—Скульптура.

Безплатная премія для годовыхъ подписчиковъ:

галлерей сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстрированное издание

1900—1916 гг. Томъ П-й.

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, карикатуръ и проч. Собственные корреспонденты во всѣхъ западно-европейскихъ театральныхъ центрахъ. **52**

Годовые подписчики, желающіе получить 1-й томъ „Галлерей“, доплачиваютъ 1 р. 75 к.

Адресъ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. 1. Тел. 2-58-25. Контора открыта еженежно, кромѣ праздничныхъ дней и субботъ отъ 11—4 часовъ дня. ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печковской и К^о (Петровскія Линія), въ книжн. маг.: „Новое Время“ (въ Петрогр., Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. В. Бессель и К^о (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ (Москва—Петроградъ,) кн. маг. Л. Идзиновскій (Кіевъ, Крещатикъ) и во всѣхъ книжн. магаз. гор. Москвы и провинціи. МОЖНО ПОДПИСЫВАТЬСЯ ПО ТЕЛ. 2-58-25.

თიანთბე სელონ მოხერბე 1916 წ.

თეატრი და ხელოვნება

Доводено Военной Цензурой სტაბო „ხელოვნება“

„სახელსო ფურცელი“

ჯავეთი. სურათები 5 და მატებით ღირს წელიწადში 9 მ. 50 კ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 მ. 50 კ., თვით 90 კ.

ქლიუდი ფისის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. ბილის მოწერა ს ღირს 3 მ. 50 კ., ივლის. 2 მ. და პირვ. ფენა, 1 მ. 50 კ. კანტორა ხელ. მოწერა. ღირს დილის 9 ს. და შუაღ. 8 ს. და საღ. 5 ს. წლიური ხელის მოწერანი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე არულოდ გადაიხიდან წლიურ ფასს. მიიღებენ პრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე თეორიულ-პოლიტიკურ და ეროვნულ მღკამარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება დაწლებილი შემდეგი: 1. მძი და მისი მიზეზები; 2. ერო და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ამის წინა და ომში; 4. ერო და დემოკრატია; 5. რევლუტი მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ეროები და მათი ურთიერთობა; 7. ამის მიმოხილვა საქრემიო თხზულების ავტორები: კ. აბაშიძე, ი. გუდვილიშვილი, გ. გუგულისაძე, კ. დასიანიშვილი, გ. შაიშვილი, გ. რჩილაძე, ს. ფარცხელაძე, გ. ქაჭავაძე, თ. დღასტაძე, კ. ჯანაშიაძე. მისამართი: ტფილისი „სახელსო ფურცლის“ რედაქცია, ნახსენის ქუჩა, ხარაჯიშვილის სახლი № 6. ტელეფონი 12—29.

სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:
И. Т. ПОЛИМОРДВИНОВ.
СПИСОКЪ ПЬЕСЪ
НА ГРУЗИНСКОМЪ ЯЗЫКЪ
На правах представителя на сцену Каиа. Нрат. И. 40 коп.
Тифлис. Пензенский Комитетъ

საქონელი ფურცელი
საქონელი ფურცელი უფრო მეტად დაწესდა და უფრო ხარვეზი იქნება ჩვენი ქართ.
მუშობელ ხალხს კლასობრივი და ეროვნული ინტერესები, კულ. ამხ. ეროვნული კავშირი გამტაროს უცხო ეროვნების მშრომელ კლასთან.
წლიური ფასი 2 მ. 50 კ., თვეში 25 კ.
ფასი უნდა გამოგზავნოს შემგველად მკვლევარის სახლით ტფილისი, Мухранская ул. № 12, Георгию Никифоровичу Мебуке.

საქონელი ფურცელი
საქონელი ფურცელი უფრო მეტად დაწესდა და უფრო ხარვეზი იქნება ჩვენი ქართ.
მუშობელ ხალხს კლასობრივი და ეროვნული ინტერესები, კულ. ამხ. ეროვნული კავშირი გამტაროს უცხო ეროვნების მშრომელ კლასთან.
წლიური ფასი 2 მ. 50 კ., თვეში 25 კ.
ფასი უნდა გამოგზავნოს შემგველად მკვლევარის სახლით ტფილისი, Мухранская ул. № 12, Георгию Никифоровичу Мебуке.

ნაკადული

დასურათებულ დასურათებულ წელიწადში მეთორმეტე, გამოცემა ხეულებრივ პროკანით, სავანებულ მოწვეულ სარედაქციო კამისიის ხელმძღვანელობით, **თვეში ორჯელ 24** წიგნი შედრე **12** წიგნი მარსოკაიანთაგანს.

ყოველ წიგნის პროვლ გვედზე იქნება მოთავსებული გამოჩენილი მხატვართა ნახსენი. ფასი: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. (ვიცე ყურნაღს რედაქციაში მთავითაგან), გაგზავნით 6 მ. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავ. 3 მ. **50** კ. ცალცალკე: შედრე წელიწადისათვის **24** წიგნი—3 მ. გაგზავნით **3—50** კ. მარსოკაიანთათვის **12** წიგნი—3 მ. გაგზავ. 3 მ. **50** კ. ფუადის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბადაშვილის სახლი კიდეისის მრ. № 8 (Ред. „Накадули“, Головинский пр. № 8), შემოსავლეი დაეითანს ქ., № 2. და წ. კ. წიგნის მარსოკაიანში, სახსელის ქ. ქუთაისში—ის. ვეცარძესთან, მ. კახიანიშვილთან და თ. შაიანიშვილთან. ბათუმში—ტრ. ინსინკიძესთან, ფოთში, და სხ. დომინკიძესთან. ობუჯურეთში და ლანჩხუთში—ლო შინკიძესთან. თელავში—გ. შატაშვილთან, ახალციხეში—კ. გუგულისაძესთან. ბაქოში—მ. ნაკაშიძესთან. გორში—ქ. ჯავახიშვილთან და ნ. დამოკრთან. ქიათურაში—გ. კამედაურთან. ხონში—მ. ი. გუგულისაძესთან.
რედაქციორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი. თ. ჯავ. იოს. თუმანიშვილი.

წიგნი
„სპეკულა“
საქონელი ფურცელი უფრო მეტად დაწესდა და უფრო ხარვეზი იქნება ჩვენი ქართ. მუშობელ ხალხს კლასობრივი და ეროვნული ინტერესები, კულ. ამხ. ეროვნული კავშირი გამტაროს უცხო ეროვნების მშრომელ კლასთან.
რედაქცია, ცხელი და ცივი წელთა (დუშე და ანუკა) თბ. პოს. პრ. № 5. ტელ. 13—14 (წ).

სამხედრო ქ. და გოლოფინის პრ. ქუჩა. და კვითიანი ჰარაჯიშვილისა.